ტრანსპორტის ზეგავლენის შეფასება



პროექტის აქსონომეტრიული ხედები





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01200174175**
თარიღი: **17/01/2020**
პინი: **4221**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

მიმღები: პაატა ჭავჭანიძე
პირადი ნომერი: 01024018748
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, თინა იოსებიძეს ქუჩა, N 72ბ, ბინა 113

2020 წლის 9 იანვრის N19/012000928-16 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, ბეშენოვას ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.12.21.001.520) სავაჭრო ობიექტის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ²" ქვეპუნქტის თანახმად III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას წარმოსადგენია:

1. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

2. ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

მოძრაობის ორგანიზების სქემა უნდა შეთანხმდეს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციასთან. მოძრაობის ორგანიზების სქემის შესათანხმებლად ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში წარმოდგენილი უნდა იყოს CD დისკზე ჩაწერილი .dwg ფორმატის სქემის ფაილი და A3 ფორმატით ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი. სქემის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობის განცხადების არქიტექტურის სამსახურში შეტანილი) ნომერი და საკადასტრო კოდი. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა სვდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შუალედური პასუხი. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში შეთანხმების შემდეგ სქემა უნდა შეთანხმდეს საპატრულო პოლიციასთან. ამის შემდეგ, შეთანხმებული სქემა უნდა აიტვირთოს სხვა დოკუმენტაციასთან ერთად არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა უნდა აიტვირთოს არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე, რის შემდგომაც განსახილველად გადაეგზავნება ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს. ასევე, უნდა აიტვირთოს კვლევის ერთიან დოკუმენტში წარმოდგენილი რუკების, სქემებისა და გაანგარიშებების სამუშაო მასალები:

· რუკა (.shp) – (ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ArcGIS-ის ArcMap დოკუმენტის სახით)

· სქემა (.dwg/.shp)

· ცხრილი და/ან დიაგრამა (.xlsx)

კვლევის კომპონენტები და არეალები მოცემულია დანართის სახით.

დანართი 1: 3 ფურცელი

დანართი 2: 1 ფურცელი

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

დანართი 1. კვლევის კომპონენტები

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	საკვლევი ტერიტორიის არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა		
1.1	საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და საქვეითე მისაწვდომობა	*საპროექტო ტერიტორიიდან ბეშენოვას ქუჩაზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებამდე მისასვლელი გზა, საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით.*	საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლისას უნდა გამოვლინდეს საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე *მისასვლელი მანძილი,* საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა ***საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია*** (უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა): ***ტროტუარის არსებობა, გარიერები ტროტუარზე, უსაფრთხო საქვეითე გადასასვლელების არსებობა.*** ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ტერიტორიის საქვეითე მისაწვდომობის ანალიზი. საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსიარულეთათვის ადვილად მისაწვდომი, მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.
2	ინფორმაცია პროექტზე		
2.1.	შენობის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი და შესაძლებლობის შემთხვევაში სუფთა ფართობი ფუნქციების		

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

	მიხედვით.		
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში ვიზიტორთა და თანამშრომელთა რაოდენობა		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.
3	რეკომენდაციები		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების ტრანსპორტით უზრუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.
4	გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები		კვლევის ტექსტურ ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევისა დ ანალიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია დ შესაბამისი ლიტერატურა.

თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://tbilisi.gov.ge/page/3218



დანართი 2. საქვეითო ინფრასტრუქტურის
არეალი
პირობითი აღნიშვნებ
საპროექტო ტერიტორია
ავტობუსის გაჩერება
ქუჩა
საკვლევი ქუჩა
სხვა გზები
შენობები
ჰიდროგრაფია
N
1:3500
ბეჟენოვას ქ.
უცნობ გმირთა ქ.
485800
486000
486400
486800
-40
-160
-120
4621800
4621600
4621400
4621200
4621000
4620800
4620600

კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანი

ჩვენ მიერ შესრულებული კვლევა წარმოადგენს სატრანსპორტო მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ჩატარების კომპლექსურ პროცესს, რომლის დანიშნულება და მიზანია დადგინდეს, ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ბეშენოვას ქ.(საკადასტრო კოდი 01.12.21.001.524) მდებარე მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ობიექტის მშენებლობის მიზანშეწონილობა საგზაო ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო ნაკადების, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ქვეითთა მისაწვდომობის კუთხით და მოხდეს შემოთავაზებული ხედვის სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დაწყებამდე, შედგა ჯგუფისა და დამკვეთის შეხვედრა. მოსაზრებებისა და ინფორმაციის გაცვლა. მოკლედ იქნა მიმოხილული საპროექტო ტერიტორიის განვითარების მიზნები და საჭიროებები. ამის შემდეგ გაიმართა ჯგუფის შიდა უორქშოფი და დაიგეგმა ჩასატარებელი სამუშაო.

აკუმულირებული იქნა ჯგუფის სამუშაო გამოცდილებით დაგროვილი ყველა რესურსი, რაც სტანდარტულად გამოიყენება კვლევის პროცესში(ციფრული და კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, საინფორმაციო სისტემები და ანალიტიკური ინფორმაცია). შედგა დეტალური სამოქმედო გეგმა.

ფიზიკური გარემოს კვლევა

ეტაპი I

რუკაზე განისაზღვრა საკვლევი ტერიტორიის არეალი და აღინიშნა ის ქუჩა (მოცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ), რომელზეც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს პროექტის განხორციელებამ.

II ეტაპი

განხორციელდა დაზვერვითი საველე გასვლა, ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება და შესწავლა, დაზუსტება კვლევის განხორციელების სავარაუდო ადგილმდებარეობები და მათი რაოდენობა.

III ეტაპი

დამკვირვებლებს რომლებიც კვლევის განხორციელებაში იღებდნენ მონაწილეობას ჩაუტარდათ ტრეინინგი. მათი უმრავლესობა შეადგენს სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან კონკრეტული დავალებების შესასრულებლად საჭირო უნარჩვევებით და გააჩნიათ თეორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებში მონაწილეობის გამოცდილება.

დოკუმენტური კვლევა

I ეტაპი

დოკუმენტური კვლევა წარიმართა კამერული გამოყენებით. ტავდაპირველად განხორციელდა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წერილში მოცემული სამართლებრივი დოკუმენტების და ფიზიკური გარემოს კვლევისას გამოვლენილი საჭირო სამართლებრივი და სახელმძღვანელო დოკუმენტების წინასწარული ანალიზი, რომლის საფუძველზეც შედგა საკვლევი დოკუმენტების ჩარჩო-სამუშაო.

რელევანტური სამართლებრივი დოკუმენტები მოძიებულ იქნა შემდეგი პრინციპით:

- ზოგადი დოკუმენტები და
- სპეციალური დოკუმენტები (მაგ. ქალაქ თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევა SYSYRA 2016)

ისინი დაჯგუფებულია სატრანსპორტო ზეგავლენის ანალიზის ძირითად და დამხმარე დოკუმენტებად.

ამის შემდგომ, თითოეული დოკუმენტიდან ამოღებუკ იქნა კვლევაში გასათვალისწინებელი ნაწილი.

კვლევის ჩატარების პროცესი

ეტაპი I: საქვეიტე ინფრასტრუქტურის კვლევა
კვირის ორ სამუშაო დღეს დამკვირვებლების მიერ მოხდა ქვეიტებზე დაკვირვება დილის და საღამოს პიკის საათებში (5-6 მარტს, ხუთშაბათი პარასკევი, 08: - 09:30 და 18:00 – 19:00 სთ).

განისაზღვრა საპროექტო არეალიდან გამომსვლელი და შემსვლელი ქვეითთა სავარაუდო გადაადგილების სქემა.

ტერიტორიის ფოტოფიქსაცია განხორციელდა ფოტოაპარატით.

განხორციელდა საკვლევი ქუჩების ინვენტარიზაცია და ფოტოფიქსაციის სქემა გამოვლენილი ქვეითთა დაუბრკოლებელი გადაადგილების შემაფერხებელი ადგილების ჩვენებით.

ეტაპი II: საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიწვდომადობის შესწავლა საპროექტო არეალიდან უახლოეს გაჩერებებზე ჩავატარეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის კვლევა.

კვლევა განხორციელდა დამკვირვებლის მიერ, პროექტის ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.

კვლევა განხორციელდა კვირის ორ სამუშაო დღეს, დილისა და სარამოს პიკის საათებში (5-6 მარტი, ხუთშაბათი პარასკევი, 08: - 09:30 და 18:00 – 19:00 სთ).

საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულპობის ანალიზისათვის აღვრიცხეთ გაჩერებაზე M3 კატეგორიის ავტობუსები. გაჩერებებზე დამკვირვებლებმა მოახდინეს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე დაკვირვება და მისი დატვირთულობის შეფასება.

II. საკვლევი ტერიტორიის სატრანსპორტო შესწავლა

საკვლევი არეალის აღწერა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მხრიდან, 16-01200174175 წერილით დადგენილი საკვლევი არეალების შესაბამისად განვიხილავთ, ბეშენოვას ქუჩაზე დღეის მდგომარეობით არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას, საქვეითე ინფრასტრუქტურას და საზ. ტრანსპორტის მისაწვდომობას.



საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევა

ქუჩის აღწერა:

N	ბეშენოვას ქუჩა	
	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	1-1ზ
3	ქუჩის სიგრძე	616 მ
4	ქუჩის სიგანე	12-15მ
5	რეგულირებადი სიჩქარე-ჯმ/სთ	40ჯმ/სთ
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაჯმაყოფილებელი
7	ტროტუარი	ჯი
8	ტროტუარის სიგანე	3
9	ტროტუარის საფარის მდგომარეობა	დამაჯმაყოფილებელი,არარის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარჯირება	არ არის დაშვებული
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	1
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნები	არა
13	ვერტიჯალური საგზაო მონიშვნები	არადამაჯმაყოფილებელი
14	შუქნიშნის ობიექტი	არა
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელი	არა
17	ველო ბილიჯი	არა

საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და მისაწვდომობა

საქვეითე მანძილი საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე

საპროექტო ტერიტორიიდან ქვეითთა მოძრაობის შესწავლისას განვიხილავთ მათ გადაადგილებას ბეშენოვას ქუჩაზე:

ბეშენოვას ქუჩაზე #3830 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებამდე



საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია საზ.ტრანსპორტის უახლოეს გაჩერებამდე

N	ბეშენოვას ქუჩა	
	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	1-1ზ
3	ქუჩის სიგრძე	616 მ
4	ქუჩის სიგანე	12-15მ
5	რეგულირებადი სიჩქარე-ჯმ/სთ	40ჯმ/სთ
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაჯმაყოფილებელი
7	ტროტუარი	ჯი
8	ტროტუარის სიგანე	3
9	ტროტუარის საფარის მდგომარეობა	დამაჯმაყოფილებელი,არარის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარჯირება	არ არის დაშვებული
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	1
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნები	არა
13	ვერტიჯალური საგზაო მონიშვნები	არადამაჯმაყოფილებელი
14	შუქნიშნის ობიექტი	არა
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელი	არა
17	ველო ბილიჯი	არა

ქვეითთათვის მოწყობილი ტროტუარების მონაკვეთი ბეშენოვას ქუჩაზე.



საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობა, სივრცითი დაფარვა და რეზერვების ანალიზი

თან უახლოესად მდებარე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებას და მათზე ტრანსპორტის მისაწვდომობას. განვიხილავთ მეტრო ღრმაღელიდან გადასასვლელ ხიდამდე (მიმართულება N1) და უკუმიმართულებით (მიმართულება N 2).

სივრცითი დაფარვა



მომსახურების სიხშირე

მიმართულება N1		
M3 მარშუტის N	სიხშირე(რაოდენობა/საათში)	ინტერვალი (წთ)
N 60	3	18
ჯამი	1	

მიმართულება N2		
M3 მარშუტის N	სიხშირე(რაოდენობა/საათში)	ინტერვალი (წთ)
N 60	3	18
ჯამი	1	

ინფორმაცია პროექტზე

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი განაშენიანების მიმოხილვა



საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ბეშენოვას ქუჩა N9 / ლიპტოვის ქუჩა N8; ქალაქი თბილისი, ეშენოვას ქუჩა N30.

საკადასტრო კოდი: 01.12.21.001.524

მიწის ნაკვეთის ჯამური ფართობია: 24373.00 კვ.მ

ტერიტორიაზე დაგეგმილია სავაჭრო ცენტრის აშენება.

საპროექტო ტერიტორიაზე ვიზიტორთა რაოდენობა

	ფართი	კოეფიციენტი	ადამიანების რაოდენობა
კომერციული	7300	9.6	760

კომერციულ ფართზე გამოყვანილი სავარაუდო ვიზიტორთა რაოდენობა შეადგენს 760.

გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები

საკვლევ ქუჩაზე გვხვდება საქვეითე მოძრაობის შემაფერხებელი გარემოებები.

ბეშენოვას ქუჩის მხოლოდ ნახევარ მონაკვეთზე არის საქვეითე ინფრასტრუქტურა მოწყობილი.









ბეშენოვას ქუჩაზე არსებული ტროტუარები არ არის შშმ პირთათვის ადაპტირებული.







ზებრა გადასასვლელზე ტროტუარს არ აქვს პანდუსი და ქვეით დაუბრკოლებლად მოხვედრას ვერ ახერხებს როგორც ზებრა გადასასვლელზე ასევე ზებრა გადასასვლელიდან ტროტუარზე.





საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლოვანებები

ტერიტორიას ემსახურება მხოლოდ ერთი M3 კატეგორიის ტიპის ავტობუსი, რაც არ არის საკმარისი, უზრუნველყოფილი იყოს ქვეითისთვის გადაადგილდეს ქალაქის ნებისმიერ წერტილში. ასევე არარის მოწყობილი ავტობუსის გაჩერებები.





რეკომენდაციები

თბილისის მდგრადი ურბანული სატრანსპორტო სტრატეგიის (2015 ჭან-მანუელ ჭილი - ინდივიდუალური კონსულტანტი) დოკუმენტსი მრგვალგზის გაზგასმულია რომ, მობილობის დაგეგმვა უნდა მოხდეს მდგრადი ურბანული მობილობის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს არამოტორიზებული, საქვეითე და საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და წახალისებას.

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების შემთხვევაში, საჭირო გახდება ბეშენოვას ქუჩაზე უფრო მეტი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გატარების განხილვა, რათქმაუნდა გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ქალაქის მთლიან ჭრილში განხილვის მეთოდით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებლების კომფორტული გადაადგილებისთვის უნდა მოხდეს აღნიშნულ მარშუტებზე მოძრაობის ინტერვალის შემცირება და დაემატოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი მარშუტები, რათა მეტად მობილური გახდეს ტერიტორიიდან გადაადგილება. აღნიშნულ ზონაში უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაცია. საკვლევ ქუჩებზე უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები რათა მომხმარებლისთვუს მგზავრობა და ლოდინი უფრო კომფორტული გახდეს.

დასკვნა:

ჩვენს მიერ შესწავლილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მხრიდან მოცემული კვლევის კომპონენტების მიხედვით, ქუჩაზე გამოვლენილი გარემოებებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე (მათ შორის რეკომენდაციიიების გათვალისწინებით) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი მშენებლობის სატრანსპორტო ზეგავლენის წილი მაკრო ზონის მასშტაბით დამაკმაყოფილებელია და მშენებლობის განხორცელება შესაძლებელია.